N გ-21-03/3490
14/12/2021

3490-გ-21-03-2-202112141212

შპს „რადიოკომპანია მწვანე ტალღას“

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2021 წლის 16 დეკემბერს, 15:00 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში: „კომისია“) სხდომა, სადაც განიხილება საკითხი - შპს „რადიოკომპანია მწვანე ტალღის“ კუთვნილი კერძო რადიომაუწყებლობის №B58 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან, გაცნობებთ, რომ კომისია უფლებამოსილია საკითხი განიხილოს სხდომაზე წარმომადგენლის დასწრების გარეშეც.

კახი ბექაური

თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია